ხელშეკრულება №26
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ზუგდიდი

21 დეკემბერი, 2016 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტი ბერიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ლია გოგია", (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი ლია გოგიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამსენებლო მასალის(CPV კოდი-44100000), ვენტილის(CPV კოდი-42131000), თვითმჭრელი ხრახნის(CPV კოდი-44531300) და საკეტების(CPV კოდი-30237251) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათავლისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 180.5 (ასოთხმოცი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

3.1.1. სამშენებლო მასალა(CPV კოდი-44100000) - ღირებულება 3.5 ლარი;

3.1.2. ვენტილი(CPV კოდი-42131000) - ღირებულება 8 ლარი;

3.1.3. თვითმჭრელი ხრახნი(CPV კოდი-44531300) - ღირებულება 35 ლარი

3.1.4. საკეტები(CPV კოდი-44221400) - ღირებულება 134 ლარი;

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღებ-ჩაბარება და ანგარიშწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარისწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის .

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა5.1.მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებლის მისამართზე: ქ. ზუგდიდი, კედიას ქ. №21.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ,მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში,შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა,რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინერე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე,თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი-შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 16. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“
ნარაზენის საჯარო სკოლა	ი/მ „ლია გოგია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 220373682	საიდენტიფიკაციო კოდი: 19001025253
მისამართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,	მისამართი: ზუგდიდი, კედიას **№21**
სოფელი ნარაზენი, მ. ლომაიას ქუჩა №8	
საბანკო რეკვიზიტები: „სს ლიბერთი ბანკის“ - ზუგდიდის ფილიალი	საბანკო რეკვიზიტები: „სს საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: **LBRTGE22**	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ანგარიშის №: **GE04LB0121110373116000**	ანგარიშის № **GE53BG0000000196546300**
ხელმოწერა: /რ. ბერიშვილი/	ხელმოწერა: /ლ. გოგია/

დანართი №1

2016 წლის „21“ დეკემბერი №26 ხელშეკრულებაზე

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

№	CVP კოდი	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი (ლარებში)
1	44165300	ქურო გარე ხრახნით	ცალი	1	3	3
2	44134000	მუხლი	ცალი	1	0.5	0.5
3	42131000	ვინტილი	ცალი	1	8	8
4	44221400	საკეტი	ცალი	2	23	46
5	44221400	საკეტი	ცალი	2	44	88
6	30197600	თვითმჭრელი ხრახნი	ცალი	585	0.0598	35
სულ ღირებულება						180.5

„შემსყიდველი“

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლის დირექტორი: /რ. ბერიშვილი/

„მიმწოდებელი“

ი/მ „ლ. გოგია“: /ლ. გოგია/